



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია: წარმომადგენლობითი საბჭოს

2023 წლის 25 სექტემბრის N28 დადგენილებით

უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - სასწავლო უნივერსიტეტი) უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. ცენტრი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, სასწავლო უნივერსიტეტის წესდების, რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

მუხლი 2. ცენტრის მიზნები და ამოცანები

1. ცენტრის მიზნებია:
 - ა) განახორციელოს ინგლისური ენის სწავლებას A1 - დან C1 დონის ჩათვლით, შესაბამისად : Beginner; Elementary; Pre-intermediate, Upper intermediate, Advanced;
 - ბ) ინგლისური ენის სწავლება განახორციელოს თანამედროვე მეთოდებზე დაყრდნობით;
 - გ) სტუდენტების მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, მასწავლებლის და სხვა საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებისათვის;
 - დ) სასწავლო პროგრამებისა და სწავლების მეთოდების და სახელმძღვანელოების მუდმივი განახლება;
 - ე) ტესტირების საფუძველზე გასცეს შესაბამისი სერტიფიკატი მსმენელებზე;
 - ვ) სასწავლო უნივერსიტეტში უზრუნველყოს გამოცდების/ტესტირების ჩატარება უცხო ენის ცოდნის დონის განსასაზღვრავად;

მუხლი 3. ცენტრის უფლება-მოვალეობანი

1. სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენათა შემსწავლელ ცენტრს ხელმძღვანელობს სასწავლო უნივერსიტეტის უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.
2. ცენტრის უფროსი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:
 - ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;
 - ბ) პასუხისმგებელია ცენტრის მიზნების, ამოცანების და ფუნქციების შესრულებაზე;
 - გ) ხელმძღვანელობს გამოცდების/ტესტირების პროცესს;



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს გამოცდის/ტესტირების ჩატარების პროცედურულ საკითხებს.
- ვ) ხელმძღვანელობს მართვის ორგანოების მიერ დამტკიცებული უცხო ენათა შემსწავლელი ცენტრის დებულებისა და თანდართული გამოცდების/ტესტირების ჩატარების წესის შესაბამისად;
- ზ) შეიმუშავებს საჭიროების მიხედვით საგამოცდო ტესტებს და უზრუნველყოფს მათ მომზადებას გამოცდისთვის;
- თ) შეიმუშავებს შესაბამისი სერთიფიკატის ფორმას;
- ი) უზრუნველყოფს გასაცემი სერთიფიკატების უწყვეტი განათლების ცენტრისთვის გადაცემას;
- კ) სასწავლო უნივერსიტეტში უზრუნველყოფს ადმინისტრაციული აქტების თარგმნასა და ენობრივ სისწორეს (შესაბამისი ენის);
- ლ) ახორციელებს რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულ სხვა უფლებებსა და მოვალეობებს.

მუხლი 4. სხვა უფლება-მოვალეობანი

1. ცენტრის უფროსი ვალდებულია:

- ა) დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;
- ბ) გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის ქონებასა და საქმიან რეპუტაციას;
- გ) იზრუნოს დოკუმენტაციაზე (არ დაუშვას მათი დაკარგვა/დაზიანება);
- დ) დაიცვას მის ხელთ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია;
- ე) დროულად მიაწოდოს რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ან სტრუქტურულ ერთეულებს მითხოვნილი ინფორმაცია;
- ვ) სწორად და კვალიფიციურად გასცეს კონსულტაცია;
- ზ) ჩაერთოს თანამდებობრივი პოზიციით გათვალისწინებული საქმიანობისგან განსხვავებულ სხვა საუნივერსიტეტო საქმიანობაში, ორგანიზაციულ ღონისძიებებში;
- თ) შექმნას პოზიტიური გარემო, დაიცვას ეთიკის, კოლეგიალობისა და სუბორდინაციის პრინციპები;



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

- ი) იზრუნოს ყოველდღიურ საქმიანობაში სასწავლო უნივერსიტეტის აქტივობებზე;
- კ) წარადგინოს დებულებით განსაზღვრული ანგარიშვალდებულების ფარგლებში ყოველთვიური, წლიური ანგარიშები, სამსახურის სამოქმედო გეგმა;
- ლ) მართვის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტური გამოყენების მიზნით ითანამშრომლოს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან დაგეგმილი კვლევების (თვითშეფასების/შეფასების/კმაყოფილების კვლევის) კითხვარის შედგენისა და კვლევების ჩატარების პროცესში;
- მ) რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;
- ნ) ითანამშრომლოს და კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება გაუწიოს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსს, შიდა აუდიტორული შემოწმების განხორციელების პროცესში, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შეფასებისას.
- ო) მონაწილეობა მიიღოს სამსახურებრივი რისკების იდენტიფიცირებაში და ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმის განხორციელებისას ითანამშრომლოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, როგორც გადაწყვეტი როლის მქონე საკვანძო ერთეულმა სასწავლო უნივერსიტეტის სიცოცხლისუნარიანობაში.
- პ) მიიღოს მონაწილეობა ბიუჯეტის ფორმირებაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით. მოითხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელისგან საჭირო რესურსების გამოყოფა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების/გაუმჯობესების მიზნით.
- ჟ) პასუხისმგებელია დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებაზე კანონმდებლობის დაცვით.

მუხლი 5. ცენტრში მიღება და სწავლის საფასურის პირობები

- 1. ცენტრში მიიღება 14 წლის და ზევით ნებისმიერი ასაკის მსურველი.
- 2. ცენტრში ინდივიდუალური მეცადინეობებისთვის სწავლის საფასური განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:
 - ა) თვის განმავლობაში 12 გაკვეთილი (კვირაში სამჯერ) - 150,00 ლარი;
 - ბ) თვის განმავლობაში 8 გაკვეთილი (კვირაში ორჯერ) - 130,00 ლარი;
 - გ) თვის განმავლობაში 4 გაკვეთილი (კვირაში ერთხელ) - 70,00 ლარი (ეს ტარიფი ჩაითვლება ერთჯერადად მოთხოვნილი გაკვეთილის ღირებულებად).



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

3. ცენტრში ჯგუფური (არა უმეტეს 5 მსმენელი) მეცადინეობებისთვის სწავლის საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) თვის განმავლობაში 12 გაკვეთილი (კვირაში სამჯერ) - 100,00 ლარი;

ბ) თვის განმავლობაში 8 გაკვეთილი (კვირაში ორჯერ) – 80,00 ლარი;

გ) თვის განმავლობაში 4 გაკვეთილი (კვირაში ერთხელ) – 60,00 ლარი (ეს ტარიფი ჩაითვლება ერთჯერადად მოთხოვნილი გაკვეთილის ღირებულებად).

4. ცენტრში მეცადინეობებისთვის შეღავათიანი ფასით ისარგებლებენ:

ა) სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები - 50 %-ით;

ბ) სოციალურად დაუცველი (სიღარიბის ზღვარს მიღმა პროგრამაში მონაწილე) მოსწავლეები/მსმენელები - 20 %-ით

გ) მსურველები/მსმენელები მრვალშვილიანი ოჯახებიდან - 30 % -ით;

დ) ოჯახიდან 2 ან 2-ზე მეტი მსურველის/მსმენელის შემთხვევაში - 30 %-ით;

ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსურველები/მსმენელები - 40 -ით;

ვ) იძულებით გადაადგილებული პირები - 40 %-ით.

მუხლი 6. შრომის ანაზღაურება

1. ცენტრის უფროსის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, „აკადემიური და დამხმარე პერსონალის საშტატო განრიგითა და სახელფასო ფონდით“.

2. ცენტრის მასწავლებლის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება რექტორის ადმინისტრაციული აქტით ცენტრის შემოსავლების შესაბამისად „შტატგარეშე მომუშავეთა საშტატო განრიგითა და სახელფასო ფონდით“.

მუხლი 7. სერტიფიკატის საფასური

1. ცენტრის მსმენელისთვის სერტიფიკატი უფასოა.

2. გამოცდების/ტესტირების წესით სერტიფიკატის გაცემის საფასური განისაზღვრება 100 ლარით.

მუხლი 8. ცვლილება და დამატება

1. ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ცენტრის დებულება ძალაშია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე თუ დადგენილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

3. ცენტრის რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით



სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

დადგენილი წესით.

